«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს; დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს აგტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

«დროების» ფასი პირველის თებერვლიდამ წლის დამლევამდე 8 მანეთი და 50 კაპ.

«დროება» თითო ნომრობით იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში—ალიბეგოვის მაღაზიაში, ზღვის პირზედ,

გორში—საზოგადოების დეპოში,

ხაშურში—რკინი-გზის ბუფეთში—ქნელაძესთან.

გაწიწმატებული ექიმი და «დროების» «სიცრუე»

იანვრის მე-19 ნომერში ჩვენის გაზეთის «შინაურ ქრონიკაში» ხუთის სტრიქონით იყო ნათქვამი, რომ დაბა Uვირილაში Uიგა-და-Uიგ ყვავილი გაჩენილა და ამცრელი კი არავინ არისო. Eქიმი და ფერშალი ასე ამბობენ, ჯერ ჩირქი არა გვაქვს, მოგვივა და მაშინ დავიწყებთ აცრასაო. Eსევე ამბავი რუსულ გაზეთებშიაც ცოტა შეცდომით იყო გადაღებული, რადგან მთარგმნელი ამბობდა: ყვავილი მთელს Uვირილას მოედოო (свирѣпствуетъ).

Aმ ამბავს გაუწიწმატებია Uვირილის ექიმი ბ. Uტულოვი, არ მოუსურვებია «დროების» ნომერში ჩახედვა, ან სხვის ჩახედვინება და დაუბეჭდვინებია ვრცელი ეპისტოლე გაზ. «Aხალ მიმოხილვაში», რომლითაც ჰკიცხავს ჩვენს გაზეთს და «სიცრუესა» სწამებს ხსენებული ამბის შეტყობინებისათვის.

ბ. Uტულოვი მაზრის ექიმია და, უეჭველია, «გაზდილი» კაციც უნდა იყოს; და თუ ვერც სასწავლებელმა, ვერც ოჯახობამ ზდილობა ვერ ასწავლა, ჩვენც, სწორე მოგახსენოთ, ვერ ვიკისრებთ ბრიყვების გაწრთვნას და ამ უმადურს შრომას ხელს ვერ მოვკიდებთ. Oუ მივაქციეთ ყურადღება ბ. Uტულოვის წერილს მხოლოდ იმიტომ, რომ დავანახვოთ მკითხველებს, გვაქვს რაიმე საბუთი თუ არა, როდესაც ვაცხადებთ რასმე ჩვენს გაზეთში.

ბ. Uტულოვი თითონვე ბძანებს, რომ ყვავილი აქ მარტო ერთს ბავშვს სჭირდა, რომელიც Aრაბიძეს ემსახურება და ისიც მორჩა, მეტი არავინ გამხდარა ავადაო. Aბა მიბძანდეს ეს ექიმი, სხვათა შორის, დიაკვან Eრ. Bოკერიასთან, რომელიც ძმის სანახავად მივიდა Uვირილაში და ჰკითხოს: გახდა ავად მისგან დასახელებული ყმაწვილის მორჩენის შემდეგ და იწვა ყვავილით ავად-მყოფი ორი კვირა დუქანში, თუ არა? Nუ თუ ორი და სამიც რომ იყოს ყვავილით ავადმყოფი გაზეთს არა აქვს ნება სთქვას ამა-და-ამ ალაგას Uიგა-და-Uიგ ყვავილი გაჩენილა და კარგი იქნება, ექიმმა ყურადღება იქონიოს და აცრას შეუდგესო?

მეორე მუხლში ბძანებს ბ. Uტულოვი, რომ არავინ არ მოქცეულა ჩემთან თხოვნით—ამეცრა და არც არავის განუცხადებია საჩივარი ვაქსინიტორებზედ, რომ ყვავილის ასაცრელი ჩირქის უქონლობის მიზეზით არ აეცრათ. Bვენ აქამდის არ გაგვიგონია, რომ ექიმს მის მაზრაში იმ ნაირ გაჭირვების დროს, როგორც ყვავილის აცრა არის, თხოვნა ნდომებოდეს. Bანა არ იცოდა, რომ გარეშემო სოფლებში მოდებული იყო ყვავილი და ერთს სოფელ Uროშაში კიდევაც იმსხვერპლა 6—7 კაცი ამ ავადმყოფობამ? Bანა თხოვნა კიდევ საჭირო იყო—აცრას შესდგომოდა, როდესაც მის გვერდით, Uვირილაშივე, იჩინა თავი ამ სატკივარმა? Iმაზე ხომ მაინც უარს ვერ იტყვის, რომ მისი მოვალეობა იყო ამ გვარი საქმე, როდესაც თითონვე ამბობს ამას თავის პასუხში?

Uემდეგ ბძანებს: ჩემს ვაქსინატორებს არ უთქვამთ უარი, რომ ასაცრელი ჩირქი არა გვაქვსო. Vაქსინატორებისა რა მოგახსენოთ, რადგანაც ისინი თვალითაც არ უნახავს ყვირილელებს იანვრის დამლევამდის და ამის შესახებ ჰკითხოს თავის უფროსს ფერშალს B. Rუხვაძეს: მიიქცა თუ არა მასთან რამდენჯერმე სიტყვიერად ადგილობრივი სასწავლებლის ზედამხედველი და თუ მიიქცა რა პასუხი მისცა? უთხრა თუ არა ფერშალმა, ჯერ არა გვაქვს ჩირქი და როცა მოგვივაო მაშინ აეუცრითო. Oუ ჩირქი ჰქონდა, რატომ არ დაიწყო მაშინვე, ყვავილის გაჩენის დროსვე, აცრა დაბაში მცხოვრებ ყმაწვილებისა, ან თუ არ დაეგვიანებიოს, რაღამ აიძულა იგივე ზედამხედველი, რომ ბარათი მიეწერა კიდევ და ეთხოვნა სკოლის ყმაწვილებისათვის აცრა?

Bოლოს ბძანებს ბ. Uტული, რომ ამ წლის იანვრის თვეში დ. Uვირილაში 30 ყმაწვილს ავუცერიო. Oუ ბ. ექიმი ამ სიტყვებს გულწრფელად სწერდა, რატომ ისიც არ ვვაჩენა—რომელი რიცხვიდგან დაიწყო აცრა და როდის გაათავა? Iანვარს 31 დღე აქვს. 1 იანვარსაც იანვარი ჰქვიან და დამლევსაც. Mართალია, მის ვაქსინატორებს იანვარში დაუწყვიათ Uვირილაში აცრა, მაგრამ პირველს კი არა, სწორედ 30-ს და 31-ს, ესე იგი დამლევს. Mაგრამ ეპისტოლეს ავტორს მაინც იანვარი დაუწერია. Bვენს გაზეთში შენიშნა 26 იანვარს იყო დაბეჭდილი. Aმან ხომ არ იმოქმედა?

Uვაილი დაბა Uვირილაში გაჩენილა 5-ს თუ 6-ს იანვარს, და ბ. ექიმი შესდგომია აცრას მხოლოდ იანვრის 30-ს და 31-ს. Uეეძლო, თუ არა ამ ხანში ყვავილი სხვებსაც გადასდებოდა? Sაჭირო იყო, რომ ამ სატკივ-

«დროების» ტელეგრაფი, 14 თებერვ.

ოგლები.

Uმაწვილი გლეხი სჩიოდა:
«Aღრე მომიკვდა მამაო
Bა მეორე დღე დედამაც
Aი ველარ დაალამაო!»

—

Oორი ობოლი დაგვაგდეს
Bაუწვრთნელ-გაუზრდელადო
Bა ეს წყეული ცხოვრება
Bვეჩვენა უფსკრულ-ბნელადო.

—

Bემს დასა ჰქვიან მარინე
Bა მე საბრალოს ზალიო,
Aრ ვიცით, ტკბილი გვექმნება,
Oუ მწარე—მომაყალიო?

—

Bილაცა გადამეკიდა,
Mითხრა: «თუ მომცემ დასაო,
Iსე მშვენიერად მოვუელი,
როგორც რომ ჩემსა თაესაო!»

—

Bევსცდი, გავბრიყვდი—უტვინოს
Bაი მიეეცი ცოლადა,
Sაბრალობელი ობლები
Bავიყარენით ორადა.

—

Iს უთაებოლო ჭაბუკი,
რა კი ალერსით გაძღაო,
Mინამდე კიუკვ, ცხენს კიჯექ, მიკრენ და
მოკრენ ზღვანია,
Dასაკლით კბოტენ ოსმალნი, Aმოსაკლეთით
სპარსნია;
Nახოტის მტრების სისხლითა წითლადა
კღებენ მთანია,
Aხლა თქვენ გაიმაგრადით ქალაქის მეიდანია.

—

Aტირდა ბატონის ცოლი იმერელთ ნუფის ქალია,
მცხეთას რო კერცხლის კუბო დგა უნათობს კელაპტარია,
Mიგა წკეს ნეფე ერეკლე ბაგრატიონის
კვარია,
Nეფე გიორგის ცოცხალსა ერეკლე სჯობის
მკვდარია.

—

ქალაქში ერთი თათარი ენას აუბნებს
ძნელსაო,—
Dაგიჭერ საქართველოსა გადაკასესლებ
ერსაო;
Aრც ფშაველებს შეეპუები, Aრცა თუშების
ხმლებსაო,
Mეჩეოდ გადაკაკეთებ კახეთში ალაკერდსაო,
Aკეგებ ბახტრიონშია ტიხე დარბაზსა ჩემსაო,
ფშაველებს დაკადებ ბეკარსა, ზეზვას *)
წაკართმეე ცხენსაო.

*) ზეზვა ყოფილა გამოჩენილი მხნე მეომარი თუში.

Cოლი მოახლედ დაისვა
Dაუწყო კიცხვა-ლანძღვაო.

—

Vერ დააფასა მარინე
Iმ უგნურ-უბედურმაო...
Aმბობენ: «ვირმა რა იცის,
Rა ხილი არის ხურმაო!»

ცახელი.

ხალხური ლექსები.

(ფშაველი შეკრებილთაგანნი)

Mერ გაიგეთა, ქართველნო, Mაგვესმნა
რკინის კარია,
Mზე გაგებრუნდა უკუღმა, ჩაკარდა შუა
ზღვაშია;
Mთკარე დაბნელდა, გაშავდა, Aღარ გვინათებს
ცაშია,
Aტირდენ წკრილნი კარსკვლავნი, ცამაც
დაშალა ნამია.
Aღარ გვუკვ ნეფე ერეკლე, Aრც იმის საოსმარია,
Aრ გვიფრიალობს დროშები, Aრცა სჯესს
ზარბაზანია,
ერეკლის საკვდილ კინა თქვა? გაუხმეს
ენის ტარია!
Aრ მოკვდა, ღმერთთან წავიდა, ძმა Aრი
წილ-ნაყარია!
Mკლებს დაუკდა ბეკთარი, ფსა სისხლიანი ხმალია.

—

Mეორე მუხლში ბძანებს ბ. Uტულოვი, რომ არავინ არ მოქცეულა ჩემთან თხოვნით—ამეცრა და არც არავის განუცხადებია საჩივარი ვაქსინიტორებზედ, რომ ყვავილის ასაცრელი ჩირქის უქონლობის მიზეზით არ აეცრათ. Bვენ აქამდის არ გაგვიგონია, რომ ექიმს მის მაზრაში იმ ნაირ გაჭირვების დროს, როგორც ყვავილის აცრა არის, თხოვნა ნდომებოდეს. Bანა არ იცოდა, რომ გარეშემო სოფლებში მოდებული იყო ყვავილი და ერთს სოფელ Uროშაში კიდევაც იმსხვერპლა 6—7 კაცი ამ ავადმყოფობამ? Bანა თხოვნა კიდევ საჭირო იყო—აცრას შესდგომოდა, როდესაც მის გვერდით, Uვირილაშივე, იჩინა თავი ამ სატკივარმა? Iმაზე ხომ მაინც უარს ვერ იტყვის, რომ მისი მოვალეობა იყო ამ გვარი საქმე, როდესაც თითონვე ამბობს ამას თავის პასუხში?

Uემდეგ ბძანებს: ჩემს ვაქსინატორებს არ უთქვამთ უარი, რომ ასაცრელი ჩირქი არა გვაქვსო. Vაქსინატორებისა რა მოგახსენოთ, რადგანაც ისინი თვალითაც არ უნახავს ყვირილელებს იანვრის დამლევამდის და ამის შესახებ ჰკითხოს თავის უფროსს ფერშალს B. Rუხვაძეს: მიიქცა თუ არა მასთან რამდენჯერმე სიტყვიერად ადგილობრივი სასწავლებლის ზედამხედველი და თუ მიიქცა რა პასუხი მისცა? უთხრა თუ არა ფერშალმა, ჯერ არა გვაქვს ჩირქი და როცა მოგვივაო მაშინ აეუცრითო. Oუ ჩირქი ჰქონდა, რატომ არ დაიწყო მაშინვე, ყვავილის გაჩენის დროსვე, აცრა დაბაში მცხოვრებ ყმაწვილებისა, ან თუ არ დაეგვიანებიოს, რაღამ აიძულა იგივე ზედამხედველი, რომ ბარათი მიეწერა კიდევ და ეთხოვნა სკოლის ყმაწვილებისათვის აცრა?

Bოლოს ბძანებს ბ. Uტული, რომ ამ წლის იანვრის თვეში დ. Uვირილაში 30 ყმაწვილს ავუცერიო. Oუ ბ. ექიმი ამ სიტყვებს გულწრფელად სწერდა, რატომ ისიც არ ვვაჩენა—რომელი რიცხვიდგან დაიწყო აცრა და როდის გაათავა? Iანვარს 31 დღე აქვს. 1 იანვარსაც იანვარი ჰქვიან და დამლევსაც. Mართალია, მის ვაქსინატორებს იანვარში დაუწყვიათ Uვირილაში აცრა, მაგრამ პირველს კი არა, სწორედ 30-ს და 31-ს, ესე იგი დამლევს. Mაგრამ ეპისტოლეს ავტორს მაინც იანვარი დაუწერია. Bვენს გაზეთში შენიშნა 26 იანვარს იყო დაბეჭდილი. Aმან ხომ არ იმოქმედა?

Uვაილი დაბა Uვირილაში გაჩენილა 5-ს თუ 6-ს იანვარს, და ბ. ექიმი შესდგომია აცრას მხოლოდ იანვრის 30-ს და 31-ს. Uეეძლო, თუ არა ამ ხანში ყვავილი სხვებსაც გადასდებოდა? Sაჭირო იყო, რომ ამ სატკივ-

Gაიგეს თუშთა, ფშაველთა, ხმლებსა
დაუწყეს ლესვაო,
Mაგრა დაჭედეს ცხენები, Mეტ Mეტს აჭმეკენ ქერსაო.
—კარგა დასუქდით ცხენებო, გაკვზე
უსმენ ხელსაო
Gამოგვადგებით ხმალს ქვეშა, ომი რო
გაცხელდესაო;
Dაგეწყემსებით სულთანსა, როგორც მიმინო მწყერსაო;
თოფს დაგვრავთ, ხმლებსაც შემოგვრავთ,
ზედ გადაგვფრენთ ცხენსაო;
თავსა და ხელებს დაგაჭრით, დღეს დაკუენებთ ცხელსაო,
Sულ Aმოკუწეკეტ ჯარებსა, Aღარ გაკუშვებო ერთსაო.
ნახოტის ხორცის ჭამითა გაკაძღებთ ტურას-მგელსაო;
Dაკბოტეთ და ჩვენც შეკაკდებით, Aდგილს
Aრ მიეტემთ ჩვენსაო;
თათრებს Aრ მიეტემთ ბეკარსა, მინამ
Sულ გეიდგა ერთსაო.
Dედა შაერთოს ცოლადა, ვინც ზურგს
უჩვენებს მტერსაო,
ვინც ომში გაუმარჯვებლად ცოცხალ შინ
დაბრუნდესაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ასაცილებლად ექიმი და ფერშალი აცრას შესდგომოდენ, თუ არა? მოგვიგოს პასუხი ამ კითხვებზედ ბ. უტულოვმა, რაკი პასუხების წერა ასე ჰყვარებია?

შინაური ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ

11 თებერვალს, შაბათ ღამეს, ორ საათზე, თბილისის პოლკის ოფიცერი, ფონ-ვაიულსკი თავის მეგობრით მოდიოდა შინისკენ. სტუმრადა ყოფილიყო ქუკიაში ერთს მეგობართან. დაუახლოვდა, თუ არა ქიროჩნი ქუჩაზე № 43 სახლს, დაინახა ცეცხლის ალი, რომელიც ბურჯულ-ბურჯულად გამოდიოდა ფანჯრიდამ. სახლი ერთ-სართულიანი იყო. მიუახლოვდა ფანჯარას და ნახა, რომ ის ჩაკეტილი იყო და «სტავნაც» შიგნიდამ დამაგრებული. სხვა ფანჯრებიც ამნაირადვე დახშულნი იყვნენ. შექნა ამ კაცმა ყვირილი და «სტავნებს» დაუწყო ბრახუნი, მაგრამ შიგნიდამ ხმა არავინ მოსცა. მერე უარესი კივილი და «გოროდოვოის» ძახილი დაიწყო. ნამძინარევი მეზობლები წამომხტარიყვნენ, გადაეცვათ ტანისამოსი, გამოცვივნილიყვნენ ქუჩაში და დაენახათ შემდეგი სურათი: მამაცს ოფიცერს შეემტვრია კარები, რომელიც გარედამ ჩაკეტილი გამომდგარიყო, შეევარდნილიყო სახლში, სადაც დახვედროდა სულთმობრძავი მოხუცებული დედა-კაცი, დაეველო ამისთვის ხელი და მოჰქონდა თურმე ქუჩაში. დედა-კაცს თავი საზარლად ჩამტვრეული ჰქონდა. ნახევარ საათის შემდეგ «გოროდოვებიც» მოსულიყვნენ. ქარგახნის უკან, ცეცხლის მქრობელი კომანდაც მოვიდა. დაფაცურდა კომანდა, მაგრამ ვერას გახდა: ისტრუმენტები კი სრულად წამოეღო თანა, მხოლოდ წყალი დაეწყებოდა. შეიქნა ყვირილი—«არ იქა, თულუხჩებს დაუძახეთო». მაგრამ ამ დროს მეთულუხენი, როგორც ყოველი მომაკვდავი, ძილში ყოფილიყვნენ და მათი პოვნა დოგენისაგან სანთლით კაი კაცის პოვნას ეგვანებოდა. როგორც იყო, თურმე ამ ჭირსაც გაუძლო კომანდამ, მისდგა სახლის მილეწვას, რომ ცეცხლი შორს არ გაძლიერებული ყო. მინგრევ-მონგრევის შემდეგ, შესულიყვნენ ოთახებში, სადაც ენახათ ნახევარზე დამწვარი გვამი «ოსტავნოი» პოდ-პოლკოვნიკი რეშეტოვისა, 84 წლის მოხუცისა.

ამ სახით, საზარელი ავაზაკობის მსხვერპლად გამხდარიყვნენ მოხუცებული ცოლ-ქმარნი რეშეტოვები, რომელთაც ეკუთვნოდათ თითონ ეს სადგურიც და მის გვერდზედ მოზდილი სახლიც თავის ფართო ეზოთი. მოხუცებულთ არა ჰყოლიათ ნათესავი. სცხოვრობდენ მარტოს.. და ისე გამრჯენი იყვნენ თურმე, რომ უმოსავსახუროდ ატარებდენ თავიანთ დღეს, თითონა მუშაობდენ თავის გამოსაკვებად.

ამ დღეებში თურმე რეშეტოვს ასაღები ჰქონდა პრიკაზიდამ ცხრაათასი მანათი შენობების გასამატებლად. ამბობენ, ალბად ავაზაკებს ეგონათ—რეშეტოვმა უკვე მიიღო ფული და ამიტომ დასხმიან თავზე, დაუხოცნიათ მოხუცებულნი, წაუკიდებიათ სახლისთვის ცეცხლი, დაუკეტიათ გარედამ კარები და წასულან კვალ-დაუტოვებლად. მათი დაჭერის იმედი არავისა აქვს.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ალმადგენელი საზოგადოების გამგეობას მოჰსვლია ჭკვაში, როგორც გაზ. «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ» გაუგონია, დაჰკეტოს თავისი სკოლები, რომელნიც მან გამართა სხვა-დასხვა მთიელი ხალხის თემებისათვის. ამ სკოლების რიცხვი ოც-და-ათია. ან მათი გახსნა და ხარჯის გაწევა რა იყო, ან მათი გაუქმება რას უნდა მოასწავებდეს! «საკვირველნი არიან, უფალო, საქმენი შენნი».

ამ დღეებში ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ავაზაკები შესულან ათ საათზე ერთ დუქანში; უვახშმიათ, გაუსინჯავთ იქაურობა, ვინ სად იძინებს, ან კარები როგორ იკეტება და მასუკან, 12 საათზედ, სხვა განზრახვით უკანვე დაბრუნებულან; გაუტეხიათ დუქანი, ახლად დაძინებულებში სამი კაცი მოუკლავთ და დუქნიდამ ყოველისფერი გაუტანიათ. ბაუგიათ ახლო მედუქნეებს, გამოცვივნულან, ორი ავაზაკი დაუჭერიათ და ორნი კი გაქცეულან.

მართალია, ამ გვარი ავაზაკობა სხვაგანაც ბევრი ჰხდება, მაგრამ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ავაზაკებს კი უფრო ფართო გზა აქვთ გახსნილი, რადგან შედარებით ასე ცოტა ქუჩის ყარაულებს, როგორც აქ, ძნელად სადმე შეხვდებით.

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ მკითხველებმა იციან, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიმუშავა ის წესი, რა წესითაც უნდა დაცულ იქმნან ტყეები ᲗᲔᲚᲡ რუსეთში. ამის შესახებ ეკითხა მისი აზრი ჩვენს სამეურნო საზოგადოებასაც, რომელსაც ექნება სჯა ამ საგანზედ ოთხშაბათს, 15 თებერვალს.

ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ მთელ სამხრეთ-ᲠᲣსეთში არა ყოფილა ექიმი, და ხალხი ავად-მყოფის ბედს მკითხავებს ეკითხებოდა; მაგრამ ახლა ერთ ბლალოჩინს მოსვლია აზრად და მოუთხოვნია მმართებლობისაგან, რომ ერთი ფერშალი მაინც გამწესდეს ამოდენა მხარეში.

Ⓣ. ᲓᲝᲜᲓᲣᲙᲝᲕ-ᲙᲝᲠᲡᲐᲙᲝᲕᲘᲡ წარუდგენია მთავრობისათვის წერილი სამართლის ურიგო მდგომარეობაზედ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ («ᲠᲣᲡᲙ. ᲙᲣᲠ.»).

შეცდომის გასწორება. მე-32 №-ში, ბ. ლიახველის წერილის თავში, 1875 წლის მაგივრად 1865 წ. უნდა იყოს.

«ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ» ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

—

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ამ წელს იანვრის 18-სა, საღამოს ხუთ საათზედ, საგარეჯოს შუა-ბაზარში შემორახუნდა «ᲢᲠᲝᲘᲙᲐ», რომელშიაც ისხდენ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲡᲣᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ და სასამართლოს ბოქოული მირიმანოვი, რომელიც წამოეყვანა სულიკაშვილს თავის საქმეზედ. ამ «ᲢᲠᲝᲘᲙᲐᲡ» მოსდევდენ ურიადნიკი და ჩაფარი. ᲧᲕᲔᲚᲐ ამათ ბახუსის ნამსახურობა ძალაზე ეტყობოდათ. რომ გაჩერნდენ ამოიღეს შემდეგი ბძანება და წაგვაკითხეს (ეს ბძანება ეხლა მე ხელში მაქვს).

მიწერილობა:

«მივუწერ სართიჭალის ურიადნიკს ერთი ჩაფარი წაიყვანოს, და ᲘᲕᲠᲘᲡ ურიადნიკს—წაიყვანოს ორი ჩაფარი და წავიდენ მოსამართლის ბოქოულთან მირიმანოვთან ერთად ს. საგარეჯოს, რათა აღმოუჩინონ კანონიერი დახმარება და გადაახდევინონ საგარეჯოს საზოგადოებას მეზვრიშვილის სასარგებლოდ 384 მან. და 25 კაპ.

«საგარეჯოს მამასახლისის თანაშემწეს ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲝᲓᲔᲠᲫᲝᲕᲡ ეუბძანებ,—დაუსახელოს ბ. მირიმანოვს ის 12 კაცი, რომელნიც ამოურჩევია ამ საზოგადოებას თავის საქმეების განსაგებლად. ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ 18 ᲓᲦᲔᲡᲐ 1884 ᲬᲔᲚᲡᲐ».

სართიჭალის მოხელე ლეგინზევიჩი.

(ᲑᲔᲭ. ᲐᲓᲒ.).

«ᲗᲣ ᲕᲘᲜᲘᲪᲝᲑᲐᲐ ამ ფულის აღების დროს რაიმე წინააღმდეგობა აღმოაჩინონ, ეუბძანებ მალხაზოვის მამასახლისს მირიმანოვის მოთხოვნილებით დანიშნოს შეიარაღებული ცხენოსანი ხალხი და მათი ქირა დამნაშავეთ გადაახდევინოს».

ლეგინზევიჩი.

(ᲑᲔᲭ. ᲐᲓᲒ.).

ამ ბძანების წაკითხვამ ძალიან გაგვაოცა. რამ აიძულა ბ. მირმანოვი და პოლიციის მოხელე ლეგინზევიჩი საგარეჯო დაეწიოკებინათ? ᲗᲣმცა ბძანებაში ეს პირ-და-პირ არ არის გამოთქმული, მაგრამ ამოდენა ხალხის დანიშვნა რა ხეირს დააყრიდა სოფელს. მართალია, მეზვრიშვილის სასოფლო ვალში 300 მანათში სასოფლო პურის მაღაზია იყო აწერილი, და ბოქაულმა მირიმანოვმა მოინდომა მისი გასყიდვა და რამდენჯერმე აკრიფა კიდეც «ᲞᲠᲐᲒᲝᲜᲘᲡ» ფული, მაგრამ ვინ მისცემდა სასოფლო მაღაზიის გაყიდვის ნებას, როდესაც სასოფლო პურის მაღაზიების შედგენა ძვირ-ფასად ულირს ადმინისტრაციას. ამას გარდა, მირიმანოვს უნდა ჯერ მიემართნა საზოგადოებისათვის, რომელიც კიდეც დააკმაყოფილებდა და არ გაეჭიანურებინა პურის მაღაზიის აღწერა და თავისი მისვლა-მოსვლით საგარეჯოში ეღო «ᲞᲠᲐᲒᲝᲜᲘᲡ» ფულები. მადლობა ღმერთს, რომ მეზვრიშვილი წინადვე მოურიგდა საგარეჯოელებს და ამაზედ უწყებაც გაგზავნა მეზვრიშვილმა მაზრის უფროსთან, თორემ რა დაიხსნიდა საგარეჯოს ამ მჭამლებისაგან. საკვირველი კიდევ ის არის, როდესაც მეზვრიშვილმა უთხრა პრისტავს,—მე თქვენ არ მომითხოვნიხართ, მე თვითონ მოვურიგდი სოფელს და თქვენ რიღასთვის მობძანებულხართო, უნდა გეყურებინათ-რა რიგად დაუწყო ლანძღვა მეზვრიშვილს და საზოგადოებისაგან ამორჩეულ კაცებს,—თქვენ არავითარი ნება არ გქონდათ უჩემოდ მორიგებოდითო. ᲛᲘრთი კითხვაა საჭირო: ზემო-მოყვანილი ბძანებები რა მნიშვნელობით არის მოწერილი, ან რა გაჭირება დაადგა მირიმანოვს, რომ ოროლი ურიადნიკი, ოთხი ჩაფარი, და ცხენოსანი მალაკნები მოითხოვა. მეზვრიშვილი წინადვე რომ არ მოგვერიგებინა სოფელთან, რა თქმა უნდა, მირმანოვის და ლეგინზევიჩის ბძანებით სოფელი უნდა დაეწიოკებინათ. რამდენი ცხვარი და ძროხა დაიკვლოდა ამ ორი პირის შინაურულის განკარგულებით, როგორც წინადაც ხშირად მოუხდენიათ...

Ა. ᲯᲐᲒᲝᲕᲚᲘ.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. დღევანდელი დღე ჩაბეჭდილია თელავის მცხოვრებთა მესხიერებაში. ამ დღეს ბ. ბაღდუაშვილმა გამართა სადილი და მიიწვია ყველა ის პირნი, რომელნიც ცდილობდენ იმის ბანკის კეთილდღეობისათვის, ე. ი. ის პირნი, რომელნიც წარსული წლის განმავლობაში მის ბანკიდან ფულებს სესხულობდენ. ᲕᲘდრე კუპის საქმეს შეუდგებოდენ, სახელოვანმა ბაღდასარმა გამოუცხადა საზოგადოებას, რომელთა შორის ჯიბე-გათხელებულ... არა უკანასკნელი ადგილი ეჭირათ, რომ იგი უქეიფობისა გამო, რაიცა არის შედეგი ხანგრძლივის და ნაყოფიერის შრომისა, ვერ გაბედნიერებს საზოგადოებას თავის საკუთარი ბაგით თქმული სიტყვით და ამიტომ ეს უფლება და ამასთანვე წლიური ანგარიში გარდასცა ერთს თელავის «ᲞᲝᲩᲝᲢᲜᲘ ᲦᲠᲐᲭᲓᲐᲜᲘᲡს». უკანასკნელმა წაუკითხა იგი საზოგადოებას. ამ წლიური ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ თითო ამხანაგს, რომელსაც ასი თუმანი ჰქონდა შეტანილი ბანკში, ერგო ოცი თუმანი წმინდა მოგება, გარდა იმ წვრილმანი «დოხოდებისა», რომელთაც დავთარში და მაშასადამე წლიურ ანგარიშშიაც ადგილი არა აქვთ და რომელნიც, რაღაცა მანქანების ძალით, მსესხებელთაგან პირ-და-პირ წევრების ჯიბეებისკენ მიილტვიან. Ის ანგარიში დაბოლოვდა შემდეგი ღირს-შესანიშნავის სიტყვებით:

ᲮᲔᲚᲘ ᲒᲢᲐᲪᲝᲗ ᲑᲐᲮᲣᲡᲡᲐ!
ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲖᲔᲓᲐ ᲪᲣᲓᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲚᲛᲐ
ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲕᲜᲐᲮᲝᲡᲐ.

მარტო სადილით არ იკმარა ბ. ბაღდასარ ბაღდოევმა საზოგადოების სამსახური. მან შესწირა წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს შვიდ თუმან ნახევარი, სომხის სკოლას ათი თუმანი, სასულიერო და საქალაქო სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებელს ოთხ-ოთხ თუმან ნახევარი. ერთი სიტყვათ, ბაღდუაშვილის ქველ-მოქმედებას საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ ერთი შეცდომა კი მოუვიდა, რომელმაც აშკარად დაგვანახვა, კაცთ-მოყვარეობით მოქმედობს ბაღდუაშვილი, თუ თავის გამოჩენისათვის და შეწირული ფულები საკენკად დაუყარა საზოგადოებას, თუ არა.

როცა ურიგებდა ფულებს ზემოხსენებულ სკოლებს, არავითარი შემწეობა არ მისცა იმ სკოლას, რომელიც სხვებზე მომეტებულად საჭიროებდა მატერიალურ დახმარებას. მე მოგახსენებთ როსტომაშვილის სკოლაზე. უკანასკნელი არის გახსნილი იმ განზრახვით, რომ მიეცეს საშუალება ღარიბ მშობლებს თავიანთ შვილების სკოლაში გამოზდისა. ეს სკოლა, თუმცა ზაფხულს აქეთ არსებობს, მხოლოდ ეხლა, 15 იანვარს, გაიხსნა ოფიციალურად, ე. ი. ამ დღეს სკოლის სადგურში იყვნენ მოწვეულნი მოსწავლეთა მშობლები და ზოგიერთა გარეშე პირებიც და მათი თანადასწრით იყო გარდახდილი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ ბ. როსტომაშვილმა გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ეხლა ჩვენს სკოლას აღარავითარი დაბრკოლება აღარა აქვსო, რადგანაც მთავრობამ ნება მომცა მის გახსნისაო. ეხლა მხოლოდ იმას ვეცდებით, რომ სწავლა ჩვენს სკოლაში როგორმე უფასო გაეხადოთო, რადგანაც ამ გზით თქვენზე ღარიბთაც მიეცემათ სწავლის შეძენის საშუალება და მაშინ ჩვენთა მოსწავლეთა რიცხვი ერთი ორად და სამად იმატებსო.

14 იანვარს გაიხსნა აგრეთვე თელავის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომელიც, იმედია, ადრე თუ გვიან, კბილს მოსჭრის ბაღდუაშვილის და კომპ. ამხანაგობას. ამ დღეს ხსენებული ამხანაგობის კასაში იყვნენ მოწვეულნი ამხანაგობის წევრნი და მათ თანადასწრობით იყო გარდახდილი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ, მ. შიუკოვმა წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა, რომელშიაც საზოგადოებას აუხსნა ამ გვარ ამხანაგობათა მნიშვნელობა ღარიბი ხალხისათვის.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! მე შევიტყე, ვითომც ერთს ჩვენი დამზოგველი ამხანაგობის წევრს დაეწეროს «დროებაში», რომ ივრის დამზოგველი ამხანაგობის საქმე ცუდად მიდისო, ბ. ცხვედაძეს ეს მეორე წელიწადია ანგარიში არ ჩაუბარებია და ეს დიდად საშიშიაო. რომ «დროების» ზოგიერთმა მკითხველებმა სასო-წარკვეთილებით არ შეხედონ იმ წევრის გულ დამწვრობას და არ იფიქრონ, რომ ცუდად მსვლელობა ივრის დამზოგველი ამხანაგობისა ნამდვილი იყოს,— ამისათვის ვეჩქარები პასუხი მივსცე საზოგადოების ხსენებულ წევრს.

«დროების» მკითხველებს კარგად ეხსომებათ, რომ დამზოგველი ამხანაგობის ანგარიშები ყოველს წელს ყრილობისაგან დამტკიცებული იბეჭდებოდა «დროების» ფურცლებზედ. 1882 წლის ანგარიშიც შესდგა, ყრილობამ კიდეც დამტკიცა თავის წესით და განაჩენით; ახლა 1883 წლის ანგარიში მზად არის, რომლის განსახილველად ყრილობა იქმნება მოწვეული თებერვალში 1884 წ., ჩვეულებისამებრ. მე მაკვირვებს დამზოგველი ამხანაგობის წევრის ასეთი გაუგებრობა საქმისა. ნუთუ იმან არ იცოდა, შარშან ყრილობა შესდგა, თუ არა? ანგარიშები დამტკიცა, თუ არა? თუნდაც ესე არ ყოფილიყო, ცხვედაძე იქნება აღარ არის საგარეჯოში, მარტო ცხვედაძეს პირ-და-პირ რადა სთხოვს ანგარიშებს, როდესაც დამზოგველ ამხანაგობას ჰყავს საკუთარი ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა, რომელთა რიცხვში ერთი წევრთაგანია ბ. ცხვედაძე? მაგრამ იქნება ამხანაგობის წევრს ცხვედაძესთან პიროვნული სხვა რაღაც საქმე ჰქონდეს, რომელსაც არ აშკარავებს და სურს მხოლოდ ჩვენს მკითხველებს ცუდი აზრი შეადგენინოს ცხვედაძეზედ და დამზოგველი ამხანაგობების გახსნაზედ აუცრუოს გული?

ცხვედაძე.

უცხოეთი

— 11 თებერვალს (ახ. სტ.) ინგლისის საზოგადოებათა პალატას თითქმის მთელი კრება გამოჩენილი დეპუტატის ბრადლოს საქმის განხილვისთვის მოუნდომებია.

ამ ბრადლოს რამდენიმე წელიწადია, რაც ნორტგამტონის ოლქი ზედი-ზედ, განუწყვეტლივ ირჩევს თავის წარმომადგენლად საზოგადოებათა პალატაში, მაგრამ პალატა არ იღებს მას თავის წევრად და რამდენჯერმე კიდეც ძალით გამოაგდო სხდომის დარბაზიდგან. მაგრამ ბრადლო თავისას არ იშლის, არ სცხრება და ისევ ერევა პალატის მოქმედებაში.

ეი საფუძველი, რომლის გამოც პალატა ასე ეპყრობა ამ დეპუტატს: პარლამენტის წესია, ამორჩეულმა დეპუტატებმა ფიცი უნდა მიიღონ წინაშე მთელი კრებისა, რომ ისინი თავიანთ მოვალეობას სინიდისიერად და პატიოსნურად აღასრულებენ. ბრადლომ ერთხელ, ამ რამდენიმე წლის წინად, საყოველთაოდ გამოაცხადა პალატის კრებაზე, რომ იმას არა სწამს არც საზოგადოდ ფიცი და არც პარლამენტური ფიცის სიწმინდე, რომ იმას ამ გვარი წესი დაფიცებისა მიაჩნია შეურაცყოფად ღვთის სახელისა, და ამისათვის სთხოვდა პალატას ფიცის მოსპობას. ბრადლომ შემდეგშიაც რამდენჯერმე განუმეორა ეს წინადადება და განრისხებულმა პალატამ გადასწყვიტა ბრადლოს პალატიდამ გამორიცხვა, როგორც წევრისა, რომელიც ჯეროვანს პატივს არა სცემს პარლამენტის წესდებას და შეურაცყოფას აყენებს მისს ღირსებას.

ბრადლომ იჩივლა ამაზედ უმაღლესს სამოსამართლო ინსტანციაში; მაგრამ იქაც უარი უთხრეს. უმაღლესს სამჯავროს შემდეგი განჩინება დაუდგენია ამ საქმის შესახებ: «თუნდ საქმის გარემოებანიც ისეთნი იყვნენ, როგორც მომჩივარი გვიჩვენებს, მაინც საქმის გარდაწყვეტა ამ სამოსამართლო ინსტანციას არ ექვემდებარა. თუმცა უსამართლობა მართლა მომხდარა, მაგრამ ამ უსამართლობის განხილვა მაინც სამოსამართლო დაწესებულებების საქმე არ არის. ინგლისის ისტორია და საზოგადოებათა პალატის მატიანე გვიჩვენებენ, რომ პალატა ბევრჯერ მოჰპყრობია ესე უსამართლოდ თავის წევრებს და, თუმცა არსებობენ საშუალებანი ამ ბოროტების განსარინებლად, მაგრამ ეს საშუალებანი სამოსამართლო უწყების ხელთ არ არიან, და ამ გვარ შემთხვევებში მომჩივართ უ'და მიმართონ იმ აღმომრჩეველ ადგილებს, რომელთა წარმომადგენელიც საზოგადოებათა პალატა არის».

ბრადლო ამის შემდეგაც არ ეშვება თურმე პალატას, ძალადობით ესწრება სხდომებზე და იღებს მონაწილეობას პალატის მოქმედებაში.

ეი, ერთს ამ უკანასკნელს კრებათაგანზე რა მოუხდენია ბრადლოს: «ბრადლო,—სწერს ერთი გაზეთი,— რომლის გულ-კეთილად მომღიმარი სახეც მოჩანდა უკანა სკამებზე, ჩამოვიდა ძირს იმ დროს, როდესაც გაცხარებული ბაასი იყო სუდანის საქმეების შესახებ. როდესაც ბრადლო მიუახლოვდა სტოლს თავის მეგობრით ბერტითურთ, მთელი პალატა გაჭკირდა და რამდენიმე წამს გაშტერებული დარჩა. შემდეგ კონსერვატორების მხრივ მოისმა საშინელი, გაბრაზებული ყვირილი; ბრადლომ ყურიც არ გაიბერტყა, თითქო ეს ყვირილი იმას სრულიადაც არ შეეხებოდა, ამოიღო ჯიბიდამ რაღაცა წიგნი (ამ დროს ლორდმა ჩერჩილმა დაიძახა— ეგ ხომ სახარება არ არისო), აკოცა, ჩაიდვა ისევ ჯიბეში და შემდეგ მოაწერა ხელი ქაღალდს, რომელიც თვითონვე თან მოეტანა. სპიკერმა უბძანა წასულიყო იქიდამ. ბრადლო გაყვითლებული ჩამოვიდა ძირს გასავალში, დადგა იქ და იქიდამ დაუგდო ყური თავის მტრების და მეგობრების ლაპარაკსა.

ბაცხარებული ბაასის და დიდი აყალ-მაყალის შემეგ პალატას გადაუწყვეტია არამცთუ არ მიიღოს ბრადლო თავის სხდომებზე, არამედ ბოქაულითაც განდევნოს იგი დარბაზიდამ.

— სინკათის შესახებ საშინელს მდგომარეობას იწერებიან. ბარნიზონს და ქალაქის მცხოვრებლებს შეუჭამიათ, რაც იქ კატა და ძაღლი ყოფილა და ეხლა ხის ფოთლებს თურმე ღეჭავენ, რომ შიმშილი როგორმე მოატყუონ.

— ზოგიერთა გაზეთები ამტკიცებენ, ვითომც ინგლისი კმაყოფილია, რომ სუდანის საქმეები ასე იხლართება; ის ყოველი ღონის-ძიებით ცდილობს, ეს მხარე, განსაკუთრებით მეწამული ზღვის ნავთ-საგურები, ხელში ჩაიგდოსო,—ჩინებულ საცხოვრებელ ადგილად გახდის იმასაო.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

12 თებერვალს.

ოდესა. დღეს დაიწყო ენტომოლოგების კრება, რომლის თავმჯდომარედ ქალაქის უფროსია.

მოსკოვი. წერა-კითხვის კომიტეტმა, რომელიც იმპერატორის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებასთან არის დაწესებული, დაადგინა—იშუამდგომლოს მმართებლობის წინაშე შემუშავებული წესდების დამტკიცება შესახებ ბიბლიოთეკების გამართვისა სახალხო სასწავლებლებში, რათა ამით წიგნების კითხვის საშუალება მიეცეს მოსწავლეთა, კურს-შესრულებულებსა და სხვა ადგილობრივ მცხოვრებლებსა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში სტენგოპმა მიაქცივა ყურადღება იმ გარემოებას, რომ მერვი რუსეთს შეეერთდა და ამის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ გარემოებას არ შეუძლიან რუსეთთან ინგლისის დამოკიდებულობა გაუმჯობესოს; სტენგოპს უპასუხა დილკმა: «მმართებლობას ჯერ-ჯეროობით არ შეუძლიან გამოსთქვას თავის აზრი ამ საქმის შესახებ; მმართებლობა ამ საგანს პეტერბურგში დაიცავს და დარწმუნებულია, რომ იმასა და ოპოზიციას შუა არავითარი უთანხმოება არ არსებობს იმ პრინციპების შესახებ, რომლებითაც ინგლისი უნდა ხელმძღვანელობდეს. ავგანისტანის შესახებ მმართებლობა იმ პირობებს დაადგება, რა პირობებიც დაუდვა მას ავგანისტანის ემირმა. ინგლისის პოლიტიკა ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ ავგანისტანი ძლიერი და დამოუკიდებელი ყოფილიყო და ამ გვარად გახდომოდა ინგლისს იგი ზღუდედ; ეხლანდელი ემირი ფრიად ერთგულია ინგლისისა და მისი პოლიტიკაც ხელს უწყობს ამ აზრის განხორციელებას. ამას გარდა, ინგლისის ინტერესებს იცავენ კიდევ შემდეგი გარემოებანი: ინგლისმა იწყო ქვეთთის სრული გამგეობა, ბელუჯისტანთანაც მეგობრობა აქვს და აქედამ შეუძლიან თვალ-ყური ადევნოს ბოლონის გასავალს; ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის სამზღვარზედაც გაუმჯობესდა ინგლისის მდგომარეობა». დილკის შემდეგ ილაპარაკა გამელტონმა, რომელიც ძლიერ ჭკიცხავდა რუსეთს და ამტკიცებდა, რომ რუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის შესვლა თურქესტანში ნიშნავს ინგლისის შესახებ მუქარასაო. გამელტონს უგო ვასუხი ფიცმორისმა, რომელიც რუსეთს ესარჩლებოდა; ამან სთქვა, რომ რუსეთმა შემუსრა ერთი ბარბაროსული ჩვეულება—მონებით ვაჭრობა—და ამით იმან დიდებული საქმე გააკეთაო, მერვის შესახებ რუსეთს წერილი გაეგზავნა და, იმედია, რომ ეს წერილი განამტკიცებს ორთა სახელმწიფოთა შუა მეგობრულს განწყობილებასაო.

პარიზი. ვრინცმა ნაპოლეონმა მიიღო ვარიქის კომიტეტის დეპუტაციები კონსტიტუციის გარდახილვის თაობაზე და გამოუცხადა მათ, რომ 1875 წლის კონსტიტუცია არის ნაყოფი ორლეანების ინტრიგებისა, და იგივეა მიზეზიც ყველა იმ უბედურობისა, რა უბედურობაც საფრანგეთს შეემთხვა. ამასთანავე ვრინცმა გამოაცხადა იმედი, ერი თვითონ აიღებს კონსტიტუციის გარდახილვის საქმეს და წინამძღოლად იმას ამოირჩევს, ვინც ღირსიაო.

ხარკოვი. თოვლი არ არის, მაგრამ დიდი ყინვებია: ეს ყინვა ძლიერ სწყენს თესლეულს; ეშინიანთ, ძველ-თესლი არ გაიყინოსო.

როსტოვი-დონზე. თევზის ჭერა ჩინებულად მიდის; მოსკოვიდგან და ვარშავიდგან ძლიერ ბევრს თევზს იბარებენ; ძვირია; ¡ფერის ვაჭრობა სუსტად მიდის.

ასტრახანი. იმ შემთხვევისაგან, 25 იანვარს რომ კიდეს ყინული მოსწყდა და ზღვაში შეიტანა, მეთევზეებს 25,000 მანეთის ზარალი მისცემიათ; ხალხი გადარჩენილა.

ქაირი. გორდონმა გამოსცა ხართუმში მოწოდება, რომლითაც აუწყებს აჯანყებულებს, რომ სულთანს განზრახვა აქვს გამოგზავნოს სუდანის დასამორჩილებლად დიდ-ძალი ჯარი. ამასთანავე გორდონი ურჩევს აჯანყებულებს დაწყნარდენ და ამით აიცილონ თავიდგან თათრების შემოსევა.

13 თებერვალს.

სუაკიმი. ადგილობრივი ჯარები უარს ამბობენ ტრინკიტატში წასვლაზედ და ამტკიცებენ, რომ აჯანყებულების თარეებს ჩვენი ტყვეები არ უდგებიანო. ბრიტანიის ჯარები ტრინკიტატში მოგზავრობენ, მაგრამ, როგორც ისმის, ტოქარზე ჯერ ჯერობით აღარ წავლენ.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შუადარეთ ჩვენი ჩაი		მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.		1 მ. 40 კ.
— — 1—20		— — 1—60
— — 1—40		— — 1—80
— — 1—60		— — 2— „
— — 1—80		— — 2—50
საუკეთესო 2— „		— — 3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ უველაფერი 25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედან 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—81)

ბებია არჩენს მშობიარეებს, დიფტერიტით ავადმყოფებს და აგრეთვე მუწუკიანებს უებარი მალამოთი. ადრესი: ვატარა წყლის ქუჩა, სახლი № 7. (7—3)

პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული «ქედლის ალენდარი», სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველს წესიერი პატივი.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველს წესიერი პატივი. (30—27)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ბირისანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო,-სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, გარჩილის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ადვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სანაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, სურსები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაბსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, სანნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიგუდები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—60)

ჟურნალი „ივერია"

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვეე და თვეე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შაევრდოვის საააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხელრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—8) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამოგუვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—95)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ჰომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის სა. ბონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი, საააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოთველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, ბენალი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამარეთებლები, სანთელი, სალესი, ტარაშვები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლეონკები. ტახტები, საკარმლები, სარკეები, საკარტლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბომბრი, ქამრები, სარტყლები. საუკეთესო, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საკვამლო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—29)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილთა ყრმათათვის, წიგნი პირველი, ი. გოგებაშვილის რედაქციით, გამოვიდა სტამბიდგან და ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში. ფასი ორი აბაზი; ათი ეგზემპლიარის მსყიდველს წიგნი დაეთმობა 33 კაპეიკათა. —

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილთა ყრმათათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ისყიდება იქვე; ფასი ექვსი შაური; ათი ეგზემპლიარის მყიდველს წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათა.

კარტა საქართველოსი, გამოცემა მეორე, შედგენილი მისგანვე, იყიდება იქვე,—ფასი სამი აბაზი; ათი ეგზემპლიარი მყიდველს კარტა დაეთმობა ათ შაურათა. — (10—10)

Дозв. цензур. Тифлисъ, 13 Февраля 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ძ. რთველი ბეილი. რედაქტორი ი. ჭარბელი.